საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

KA030175724038512

ბრძანება No–7

ქ. თბილისი

03 / იანვარი / 2012 წ.

ფ/პ დიმიტრი ალიმბარაშვილის "წყალსაცავის მოწყობის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის 24–ე მუხლის მე–4 პუნქტის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№32; 30.12.11წ) გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ ფ/პ დიმიტრი ალიმბარაშვილის "წყალსაცავის მოწყობის" საქმიანობაზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. ფ/პ დიმიტრი ალიმბარაშვილმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№32; 30.12.11წ) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ დიმიტრი ალიმბარაშვილს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ დიმიტრი ალიმბარაშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი; გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი (№1550; 16.12.11წ) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№32; 30.12.11წ).

მინისტრი

გიორგი ხაჩიძე